სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

03064433384571 3

KA030644333845713

02 / აპრილი / 2013 წ. **თბილისი #06-50/ო**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში დასაქმებულთა მივლინებაში გამგზავრების მეთოდური–საინფორმაციო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, “დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის №107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე–3 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში დასაქმებულთა მივლინებაში გამგზავრების თანდართული (დანართი №1) მეთოდური–საინფორმაციო ინსტრუქცია (შემდგომში - ინსტრუქცია).
2. ამ ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით დადგენილი პროცედურების ჯეროვნად შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევალოთ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გენერალური დირექტორი

ამირან გამყრელიძე